მეექვსე წერილი

მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელისა ბრაშოვის შკეის რუმინელების შენდობის თაობაზე-1713 წლის 18 ნოემბერი[1]

ანთიმოზი

წყალობითა ღვთისათა უნგრო- ვლახეთის მთავარეპისკოპოსი ტრანს-კარპატიის ეგზარხოსი

ბრაშოვის შკეის წმინდა ეკლესიის ყოვლადპატიოსან მღვდლებს, თქვენს მამასახლისებსა და მოსამართლეებს, ყველას ღვთისგან გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, წმინდა ცხოვრებასა და სულის ცხონებას, ხოლო ჩვენი სიმდაბლისაგან გითვლით ლოცვასა და კურთხევას.

წერილი, რომელიც გამოგვიგზავნეთ ამ თვის 6 რიცხვში, მივიღეთ; რაც წერია მასში- ყველაფერი გავიგეთ, ხოლო რაც შეეხება შენდობის გახსნას იმ შეკვრისაგან, რომელიც მე თქვენ დაგადეთ, აჰა შეგინდობთ, იყავით შენდობილი კურთხეული და შეასრულეთ დადგენილი მსახურებები ყველანაირი დაბრკოლების გარეშე, ისევე როგორც ადრე[2]. ამ დროისათვის სულ ეს არის, და წყალობა ღვთისა იყავ მარადის თქვენს ლოცვებსა თანა.

სამყაროს შექმნიდან 7221 წელი 18 ნოემბერი.

ა.უგ.

კომენტარები:

---

[1] ბრაშოვის შკეის მუზეულის არქივში არსებული დოკუმენტი 55/1716, გამოქვეყნებულია steri Stinges მიერ. Documentul 55/1716 din Arhiva Muzeului din Șcheii Brașovului, publicat de Sterie Stinghe, Documente privitoare la trecutul românilor din Șchei (1700- 1783), vol. I, Tipografia Ciurcu & Comp., Brașov, 1901, p. 52 și de ÎPS dr. Laurențiu Streza și Pr. prof. Vasile Oltean, Sfântul Constantin Brâncoveanu și brașoveanu, Editura Andreiana, Sibiu, 2014, p. 393 წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 101-102. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014..

[2] გარკვეული დანაშაულის გამო ერისკაცი წინდა ზიარებისაგან, ხოლო სასულიერო პირის ღვთისმსახურებისაგან დროებით დაყენებას და ღვთისმსახურებების ჩატარების უფლების დაბრუნებას ეძახიან შეკვრისაგან გახსნას, როგორც ამ წერილიდან ირკვევა გარკვეული დანაშაულებების გამო, რომლებზეც წმინდა ანთიმოზი წერდა ბრაშოვის შკეის მღვდლებისადმი მესამე წერილში ზოგიერთი იქაური სასულიერო პირზე იყო დადებული საეკლესიო სასჯელი (ეპიტამია) და დროებით აეკრძალატთ ღვთის მსახურების შესარულება, ხოლო სინანულისა გამოსწორების ვადის გავლის შედეგად მიტროპოლიტმა ანთიმოზმა დაუბრუნა მღვდელმოქმედების უფლება.